<u>დანართი N1</u>

ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“
შენიშვნები კანონპროექტზე

საქართველოს კანონი
შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. საქართველოს კანონი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს სხვა სამართლებრივ აქტებს.

GSPSA შენიშვნა: <u>იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N1</u>

2. ეს კანონი განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, მათი მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს. ასევე, შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობისათვის დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს.

3. ამ კანონის მიზანია შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა

და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

4. ეს კანონი არ ვრცელდება შინაურ ფერმერულ და გარეულ ცხოველებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური, თუ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ფუნქციური დანიშნულებით, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;

GSPSA შენიშვნა: *იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N1- განმარტებაში უნდა დაკონკრეტდეს, რომ კანონი ეხება კატას და ძაღლს, რადგან მუხლები შიინარსობრივად მხოლოდ ძაღლზე და კატაზეა ფოკუსირებული. სხვა სავარაუდო შინაურ ცხოველებზე არ არის არანაირი რეგულაციები განსაზღვრული.*

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის ***მეპატრონე*** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს შინაური ბინადარი ცხოველი და უზრუნველყოფს მის რეგისტრაციას, მოვლა-პატრონობას, შენახვას, ვეტერინარულ მომსახურებას და სოციალური ქცევის კორექციას, ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით;

GSPSA შენიშვნა: *შეიცვალოს „პატრონი“-თ. მეპატრონე უძრავი ქონების მფლობელს ნიშნავს, ხოლო პატრონი -სულიერისა. ამ ტერმინებს შორის,დიდი სხვაობაა. მეპატრონე, ასევე, შეიძლება იყოს აბსტრაქტული სახელების მფლობელი, როგორიცაა - მაღალი სულიერების მეპატრონე, დიდი ადამიანობის, ღირსების და ა.შ.*

გ) პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე (ფიზიკური ან იურიდიული პირი), კონკრეტული მომენტისთვის ეს პირი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი ფლობს მას როგორც საკუთარს, ან რეგისტრირებულია როგორც საკუთრება;

დ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელიც იმყოფება მეპატრონის ან მფლობელის მეთვალყურეობის გარეშე და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება მეპატრონე, ასევე ცხოველი, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც პატრონიანი ცხოველი, ***თუმცა მეპატრონის გარდაცვალების*** ან მეპატრონის ნების საფუძველზე მასზე აღარ ხორციელდება მეთვალყურება და მოვლა-პატრონობა;

GSPSA შენიშვნა: *მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში ცხოველის ბედის განმსაზღვრელი რეგულაცია უნდა არსებობდეს ამავე კანონში. უნდა იყოს წესი, რომ მემკვიდრე იყოს ვალდებული ცხოველის მოვლა-პატრონობისთვის.*

იხილეთ დანართი N2 ძირითადი შენიშვნები. თუ მემკვიდრე უარს იტყვის მამკვიდრებლის საკუთრებაში მყოფი ცხოველის მოვლა-პატრონობაზე, გააგდებს ცხოველს, ან თავშესაფარში ჩააბარებს, მაშინ კანონით ის კარგავს მემკვიდრის უფლებას.

ე) მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

ვ) უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედელებელი, ასევე, გადაადგილდება მფლობელის მეურნეობის საზღვრებს მიღმა და ცხოველის მეპატრონის ან მიმკედლებლის დადგენის მიზნით ხორციელდება ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი შინაური ბინადარი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მისი კვება-დაწყურვების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაზე, მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, ვეტერინარულ დაწესებულებაში შინაური ბინადარი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებაზე;

GSPSA შენიშვნა: *მუხლი შეტანილ იქნას შემდეგი რედაქციით:*

შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი *– გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი შინაური ბინადარი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მისი კვება-დაწყურვების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაზე, მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოსთვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, ვეტერინარულ დაწესებულებაში შინაური ბინადარი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფის განხორციელებაზე;*

თ) ცხოველთა კეთილდღეობა - ცხოველის მოვლა-პატრონობისა და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს ცხოველის საკვებისა და წყლის

ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისაგან, შიშისა და სხვა სტრესისაგან მის დაცვას.

*GSPSA შენიშვნა: **ცხოველთა კეთილდღეობა** - განმარტება არის ძალიან მწირი და ეს ტერმინი მეტ კონკრეტიკას იმსახურებს.*

(მოსაფიქრებელია ახალი განმარტება)

ი) შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობა – შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: ***ვეტერინარისა და კინოლოგ/ფელინოლოგის მიერ დადგენილი რაციონით*** მისი კვება და დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მომსახურება – დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ~~ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევა~~ და ~~შინაური ბინადარი ცხოველის გაწვრთნა სოციალიზაციის ვალდებულებით,~~ ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

GSPSA შენიშვნა:

*1. **ვეტერინარისა და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ დადგენილი რაციონით** ამოსაღებია. ამის ნაცვლად უნდა დაიწეროს: კვება ამ სახეობისთვის და ჯიშისთვის აუცილებელი საკვებით და რაციონით.*

~~*2. ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევა*~~ *ამოსაღებია ვეტერინარული მკურნალობა და ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც ისედაც მოიაზარება ვეტერიარული მომსახურების უზრუნველყოფასა და მომსახურებაში.*

~~*3. შინაური ბინადარი ცხოველის გაწვრთნა სოციალიზაციის ვალდებულებით,*~~ *სამოსამსახურო ძაღლებზე თუ იქნება გაწვრთნა ეს სხვა საკითხია და ზოგადად ყველას დავალდებულება გაწვრთნას ცხოველი, რომელსაც ეს არ ესაჭიროება არასწორია. გაწვრთნის მაგივრად უნდა ჩაიწეროს: სოციალიზაცია.*

კ) შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, ცხოველის მეპატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ***ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება,*** შინაური ბინადარი ცხოველისგან მეპატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ან მისი

ოჯახის წევრის დაავადება, რომლის გამოც შეუთავსებელია შინაურ ბინადარ ცხოველთან თანაარსებობა;

GSPSA შენიშვნა: <u>ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება</u>

<u>ეს მიზეზი არ უნდა ჩაითვალოს ობიექტურ წინაპირობად და ამოღებულ იქნას კანონპროექტიდან.</u>

ლ) შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის დადგენის ან ახალი მეპატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები - იდენთიფიკატორის არსებობის შემთხვევაში - ცხოველის იდენტიფიცირება, ოპტიმალურ ვადებში შინაური ბინადარი ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები მეპატრონისა და შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) განთავსების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელებსა და მედია საშუალებებში;

მ) კინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ძაღლების ჯგუფურ, ინდივიდუალურ და სპორტულ წვრთნას, ფსიქიკისა და ქცევის კორექციას (ინტეგრირება-სოციალიზაციას), ფიზიკურ მომზადებას, მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას;

GSPSA შენიშვნა: მუხლი ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:

<u>კინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ძაღლების დოკუმენტაციის (რეგისტრაცია, სერტიფიკატების გაცემა და სხვა) და ძაღლების ჯგუფურ, ინდივიდუალურ სპორტულ წვრთნას, ფსიქიკისა და ქცევის კორექციას (ინტეგრირება-სოციალიზაციას), ფიზიკურ მომზადებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას;</u>

ნ) ფელინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კატების ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლას, მათ მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას;

GSPSA შენიშვნა: მუხლი ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:

<u>ფელინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კატების დოკუმენტაციის (რეგისტრაცია, სერტიფიკატების გაცემა და სხვა) და ცხოველების ფიზიოლოგიური</u>

<u>თავისებურებებისა და ქცევის შესწავლას, მათ მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას;</u>

ო) ვეტერინარული დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას (ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკასა და მათ მკურნალობას, შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სხვა მომსახურებას);

პ) შინაური ბინადარი ცხოველის უმტკივნეულო მოკვდინება (ევთანაზია) - უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის) მიერ შინაური ბინადარი ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს შინაური ბინადარი ცხოველების ~~*ჰუმანურად*~~, მყისიერად და უმტკივნეულოდ მოკვდინებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს შეძლებისდაგვარად მცირე ფიზიკურ ტკივილს, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

GSPSA შენიშვნა: <u>~~ჰუმანურად~~</u> <u>ამოღებულ იქნას. ჩაიწეროს მოკვდინება, ანუ სიცოცხლის შეწყვეტა არ არის ჰუმანური აქტი, ეს არის უმტკივნეულოდ მოკვდინება.</u>

ჟ) შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაცია – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების მიერ პატრონიანი ან მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის პირველადი/საკონტროლო/დროებითი რეგისტრაცია (აღრიცხვა), ასევე ამ კანონით დადგენილი შინაურ ბინადარ ცხოველთა კლასიფიკაციის შესაბამისად სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

რ) შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიცირება - შინაური ბინადარი ცხოველების ნიშანდება უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის მიერ საგანგებო ნიშნით (მათ შორის მიკროჩიპით, ~~*სვირინგით*~~, საერთშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური საჭდით, საყელურით და სხვ.);

GSPSA შენიშნა: <u>სვირინგით</u> <u>- ამოსაღებია. საერთაშორისო სტანდარტით არ არის აღიარებული, რადგან იწვევს ცხოველის ტკივილს. გარდა ამისა გარკვეული ასაკის შემდეგ ხდება არაკითხვადი.</u>

ს) უფლებამოსილი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი მიზნით შექმნილი იურიდიული პირი, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობაზე მონიტორინგი და მათ მოვლა-პატრონობის კანონმდებლობით დადგენილ წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, აღრიცხვა, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა და კანონმდებლობით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორცილება;

ტ) მარეგისტრირებელი ორგანო - უფლებამოსილი ორგანო ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულებები ან ცხოველთა თავშესაფრები, რომლებიც უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით ცხოველის მეპატრონის ან მიმკედლებლის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, ახორციელებს ცხოველის რეგისტრაციას;

GSPSA შენიშვნა: <u>დაემატოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები.</u>

უ) საბმელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს მეპატრონისგან შინაური ბინადარი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ფ) მოკლე საბმელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს მეპატრონისგან შინაური ბინადარი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას 1-1,5 მეტრის მანძილზე;

ქ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ცხოველს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველებისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ღ) გადამეტებული აგრესია - შინაური ბინადარი ცხოველის იმგვარი ფსიქიური დისბალანსი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველის ან/და ადამიანის ~~სიცოცხლესა და~~ ჯანმრთელობას და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

GSPSA შენიშვნა: <u>~~სიცოცხლესა და~~ ამოღებულ იქნას.</u>

ყ) შინაური ბინადარი ცხოველის მოკვლა - კანონმდებლობით დადგენილი ჰუმანური მეთოდების გამოყენების გარეშე და მისი შესაბამისი საფუძვლის გარეშე ~~*მოკვდინება;*~~

GSPSA შენიშვნა: <u>~~მოკვდინება~~ შეიცვალოს „სიცოცხლის შეწყვეტით“.</u>

შ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება - შინაური ბინადარი ცხოველისათვის აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის მიზნით, შინაური ბინადარი ცხოველის ყოფნა არასაცხოვრებელ ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მეპატრონის ან თანმხლები პირის მეთვალყურეობით;

GSPSA შენიშვნა: ***<u>შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება</u>*** *<u>- განმარტება მოითხოვს კორექტირებას.</u>*

ჩ) შინაური ბინადარი ცხოველის დაცვა - შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

GSPSA შენიშვნა: *შევიდეს შემდეგი რედაქციით:*

<u>შინაური ბინადარი ცხოველის დაცვა - შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები და გარე ნეგატიური ფაქტორებიდან ცხოველის დაცვა მისი სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის;</u>

ც) შინაური ბინადარი ცხოველის მზრუნველი ან დროებითი შემფარებელი - პირი, რომელიც მეპატრონის ვინაობის დადგენამდე შეიფარებს უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველებს ახალი მეპატრონისთვის გასხვისების ან მის გამოჯანმრთელებამდე შეფარების მიზნით და ამ პერიოდის განმავლობაში კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველებზე დროებით მოვლა-პატრონობას;

ძ) შინაურ ბინადარ ცხოველთა კომერციული მოშენება - კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, კომერციული მიზნით შინაური ბინადარი ცხოველების რეპროდუქცია;

წ) ფუნქციური დანიშნულების ძაღლი - სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომლის უნარ-ჩვევებიც გამოიყენება დაცვის, მოძიების, სანიტარული და დივერსიული ფაქტების აღმოსაფხვრელად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ასევე სამწყემსო დანიშნულების ძაღლი;

ჭ) შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი - არაკომერციული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვას და სადაც ხორციელდება უპატრონოდ დარჩენილი შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა ან/და მეპატრონის მოძიება;

ხ) შინაურ ბინადარ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი - სპეციალიზირებული დაწესებულება, სადაც გამოჯანმრთელებამდე დროებით არის

განთავსებული არა უმეტეს 15 უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველი, ტრავმირებული ან ისეთი შინაური ბინადარი ცხოველები, რომლებიც ვეტერინარული სამსახურის მიერ შინაურ ბინადარ ცხოველთა გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით არიან მეთვალყურეობაში;

GSPSA შენიშვნა: *<u>უსაფუძვლო შეზღუდვაა რაოდენობის სახით. პირს თუ აქვს დიდი ტერიტორია, სივრცე და კარგად უვლის რატომ ვაფერხებთ?</u>*

ჯ) უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა - უმეთვალყურეო ცხოველების უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჰუმანური მეთოდით აყვანა და შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში კანონით დადგენილი წესით მოთავსება;

ჰ) დეჰელმინთიზაცია - ცხოველის ორგანიზმიდან ჭიების, პარაზიტების გამოდევნა;

GSPSA შენიშვნა: *დეჰელმინთიზაცია <u>- შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატების საშუალებით</u> ცხოველის ორგანიზმიდან ~~ჭიების~~ <u>დეჰელმინთების,</u> პარაზიტების გამოდევნა;*

<u>ჭიები შეიცვალოს „დეჰელმინთები“-თ.</u>

<u>დეჰელმინთიზაცია გულისხმობს შინაგანი პარაზიტებისგან, მაგრამ არა გულისჭიისგან, ჰელმინთებისგან განთავისუფლებას და არა ზოგადად პარაზიტებისგან განთავისუფლებას, როგორიც შეიძლება იყოს რწყილი, ტკიპა და აშ.</u>

ჰ[1]) ვაქცინაცია - დაავადებების საწინააღმდეგო ანტიგენის/ანტიგენების ცხოველის ორგანიზმში შეყვანა რიგი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის (ორგანიზმის დამცველობითი უნარის) შესამუშავებლად;

ჰ[2]) კასტრაცია - ხვადი კომპანიონი ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

<u>კასტრაცია - შესაბამისი სამედიცინო მანიპულაცია (ოპერაცია) ხვადი კომპანიონი ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტის მიზნით;</u>

ჰ[3]) სტერილიზაცია - ძუ კომპანიონი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

<u>სამედიცინო მანიპულაცია (ოპერაცია) ძუ კომპანიონი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;</u>

ᲖᲐ[4]) შინაური ბინადარი ცხოველის გასხვისება - შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის, სხვა ორგანიზაციის ან პირის მიერ შინაური ბინადარი ცხოველის კანონით დადგენილი წესით გადაცემა პასუხისმგებელი პირისათვის;

ᲖᲐ[5]) ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, ან ადამიანთან, შეჯიბრების, დაკბენისა და ორთაბრძოლის მიზნით;

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

<u>ცხოველთა ორთაბრძოლა - ადამიანის ზემოქმედებით ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, შეჯიბრის, დაკბენისა და ბრძოლის მიზნით (აღნიშნული არ ვრცელდება მწყემს და სამოსამსახურო ცხოველებზე (ძაღლებზე), რომლებიც იცავენ კერძო საკუთრებაში არსებულ ფერმერულ ცხოველებს, ადამიანს, ობიექტს ან პატრონის საკუთრებას);</u>

ᲖᲐ[6]) შინაური ფერმერული ცხოველი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველი, რომელსაც უვლიან ან/და მოაშენებენ სურსათის, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, წამლებისა და სხვა პროდუქტების დამზადების, სამუშაოს შესრულებისა და სხვა სახის სამეურნეო გამოყენებისათვის;

ᲖᲐ[7]) ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია - კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობის ფორმებსა და მიზნებს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წარმოადგენს ცხოველთა დაცვა;

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

<u>ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია - კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობის ფორმებსა და მიზნებს წარმოადგენს ცხოველთა დაცვა, ჰყავს არანაკლებ 50 წევრი, გააჩნია იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი, აქვს სტრუქტურა, გამგეობა და მისი დებულება არ ეწინააღმდეგება ცხოველთა დაცვის პრინციპებს.</u>

ჰ[8]) ვეტრერინარული პასპორტი - დოკუმენტი, რომელშიც ვეტერინარის მიერ კეთდება ჩანაწერები ყოველწლიური ვაქცინაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ (ალერგიული რეაქცია, ქრონიკული ჯანმრთელობის კონდიცია, წონა და ა.შ.) და ასევე ჩანაწერები ანტიპარაზიტული საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელსაც ავსებს ვეტერინარი ~~ან/და მეპატრონე.~~

GSPSA შენიშვნა: *ავსებს მხოლოდ ვეტერინარი ცხოველის პატრონის თანდასწრებით.*

ჰ[9]) მიკროჩიპი - მხოლოდ წაკითხვადი პასიური რადიოსიხშირული საიდენტიფიკაციო მოწყობილობა;

თავი II

შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა

მუხლი 3. შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები

1. ყველა შინაურ ბინადარ ცხოველს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა იარსებოს ცხოველის მახასიათებლებიდან გამომდინარე, მისთვის ბუნებრივ გარემოში.

2. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის მიტოვება ან მოკვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

<u>დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის უმეთვალყურეოდ მიტოვება ან მოკვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.</u>

3. შინაური ბინადარი ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს.

მუხლი 4. შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა

1.შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა მოიცავს ცხოველის კონკრეტული სახეობისათვის შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მისი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

2. ამ კანონის მიზნებისათვის შინაური ბინადარი ცხოველისათვის აუცილებელი გონივრული საჭიროებები მოიცავს:

ა) სათანადო კვებასა და დაწყურვებას;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას; საძილე ადგილის გამოყოფა - მოწყობას, დათბუნებასა და ***<u>საჭიროების შემთხვევაში განათებას;</u>***

GSPSA შენიშვნა: *გაუგებარია*

გ) შინაური ბინადარი ცხოველის გასეირნებასა და სათანადო ფიზიკური აქტივობით დატვირთვას;

დ) დროულ და სათანადო ვეტერინარულ მომსახურეობას;

ე) შინაური ბინადარი ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ - ჰიგიენური პირობების შექმნას;

ვ) შინაური ბინადარი ცხოველისათვის აუცილებელი შესაბამისი ***<u>საწვრთნელი საშუალებების ხელმისაწვდომობასა</u>*** და მათ სოციალურ გარემოში ინტეგრაციას;

GSPSA შენიშვნა: *<u>დასაკონკრეტებელია ცხოველის რომელ სახეობებს ეხება. ყველა ცხოველი არ იწვრთნება.</u>*

3. დაუშვებელია დამახასიათებელი ჩვეული და ინსტიქტური ქცევის შეზღუდვა, ადამიანებთან და მისივე სახეობის შინაურ ბინადარ ცხოველებთან ურთიერთობის შეზღუდვა, თუ ასეთი ქცევა საფრთხეს არ უქმნის გარშემომყოფებს.

4. შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობისა და დაცვის წინააღმდეგ არ არის მიმართული:

ა) შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა, სტერილიზაცია, კასტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაციისა და დაბრუნების პროგრამა;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინება (ევთანაზია), როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურით და წესით დადგინდება ცხოველის უკურნებელი დაავადება ან/და ცხოველთა თუ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აღკვეთის საჭიროება, ***<u>ან აგრესიული ქცევა,</u>*** რომელიც არ იძლევა ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანებთან ან სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში;

GSPSA შენიშვნა: ***<u>ან აგრესიული ქცევა</u>***

<u>წინ დაემატოს: კინოლოგის მიერ სათანადო წესით დადასტურებული ცხოველის აგრესიული ქცევა, როდესაც შესაბამის გარემოში კინოლოგ-ზოოფსიქოლოგის მიერ შესაბამისი ტრენინგის მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდება ცხოველთან კონტაქტი.</u>

გ) შინაური ბინადარი ცხოველის მოკვდინება (ევთანაზია) საგანგებო შემთხვევებში, როცა მიზანშეწონილია მძიმედ დაჭრილი, ტრამვირებული ან დაავადებული შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვის დასრულება.

მუხლი 5. შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი მოთხოვნები

1. ნებისმიერი პირი, ვინც უვლის ან პატრონობს შინაურ ბინადარ ცხოველს, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, უნდა განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, რათა თავიდან აიცილოს შინაური ბინადარი ცხოველის გაქცევა ან დაკარგვა.

2. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული შინაური ბინადარი ცხოველის შთამომავლობის მოვლა - პატრონობა, ან გასხვისება.

3. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად შინაური ბინადარი ცხოველები თავის ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდ იქნება შემოსაზღვრული, ~~შესასვლელთან ექნება გამაფრთხილებელი წარწერა~~ და შინაური ბინადარი ცხოველები მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას ზიანი მიაყენონ ამ ტერიტორიის მიღმა მყოფი პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას.

GSPSA შენიშვნა:

ამოღებულ იქნას: ~~შესასვლელთან ექნება გამაფრთხილებელი წარწერა,~~ ამღებული იქნას. გაუგებარია, თუ რატომ უნდა იყოს შესასვლელთან გამაფრთხილებელი წარწერა, მაგალითად: მე მყავს ძაღლი, ან კატა, ან ცხენი, ან ზაზუნა (?). კერძო საკუთრებაში უცხო პირის შესვლა დასაშვებია მესაკუთრის თანხმობით.

დაემატოს: *<u>მფლობელს, ან უფლებამოსილ პირს</u>*

შევიდეს შემდეგი რედაქციით:

<u>მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (მფლობელს, ან უფლებამოსილ პირს) შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად შინაური ბინადარი ცხოველები ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდ იქნება შემოსაზღვრული, და შინაური ბინადარი ცხოველები მოკლებული იქნებიან.</u>

4. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის მუდმივად დაბმულ მდგომარეობაში ყოლა ან/და მოკლე საბმელის ხანგრძლივად გამოყენება, ან/და ხანგრძლივად დახურულ სივრცეში ყოლა.

GSPSA შენიშვნა: ჩაიწეროს შედეგი რედაქციით:

<u>დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის მუდმივად დაბმულ მდგომარეობაში ყოლა ან/და მოკლე საბმელის ხანგრძლივად გამოყენება, ან/და ხანგრძლივად დახურულ სივრცეში ყოლა. დროებითი (არა უმეტეს ერთი საათისა) დაბმის შემთხვევაშიც ცხოველს უნდა ჰქონდეს მოწყობილი სახლი, საჩრდილობელი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისთვის სასმელი წყალი. დროებითი დაბმა დაუშვებელია მოკლე საბმელით. საბმელის სიგრძე უნდა უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრის.</u>

5. შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის მიმართვის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანას შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ან უფლებამოსილი ორგანო, ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია ქმედითი ღონისძიებები გაატაროს შინაური ბინადარი ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შედეგი რედაქციით:*

<u>შინაური ბინადარი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის მიმართვის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანას შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ან უფლებამოსილი ორგანო, ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, მეპატრონე ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიმართვიდან ჩაბარებამდე - ერთი თვის განმავლობაში განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები შინაური ბინადარი ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.</u>

6. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით.

7. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება.

8. შინაური ბინადარი ცხოველის ლეში უნდა დაიმარხოს მუნიციპაპიტეტის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ან მოხდეს მისი კრემაცია, ან მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

9. თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაშავდა ან დაიღუპა შინაური ბინადარი ცხოველი, მძღოლი ვალდებულია შეატყობინოს პოლიციას.

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შედეგი რედაქციით:*

თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაშავდა ან დაიღუპა შინაური ბინადარი ცხოველი, მძღოლი ვალდებულია შეატყობინოს პოლიციას. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლის გრალეულობა (საგზაო წესების დარღვევა) დამტკიცდება და ცხოველს სჭირდება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება, მძღოლი ვალდებულია ცხოველი გადაიყვანოს ვეტერინარულ დაწესებულებაში, სრულად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება და მკურნალობის პერიოდში ცხოველის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

10. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ეკრძალება საკუთრებაში (მფლობელობაში) კონკრეტულ მისამართზე ან/და ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე ერთდროულად 10-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის ყოლა (გარდა ამ ცხოველთა ნაშიერისა, რომელთა ასაკი არ აღემატება 6 თვეს), თუ ეს მისამართი ან/და ტერიტორია არ აკმაყოფილებს ამ წესით ცხოველთა თავშესაფრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს; ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში აკრძალულია 5-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის ყოლა.

GSPSA შენიშვნა:
ეს მუხლი ამოსაღებია, იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N11.

***აუცილებლად უნდა დაემატოს ქვემოთ მოცემული,* თუ მე-5 მუხლის მე-10 პუმქტში ჩაწერილი შეზღუდვა დარჩება კანონპროექტში.**

ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე საკუთრებაში /მფლობელობაში ჰყავს ერთდროულად 10-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი, ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში 5-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი, არ ვრცელდება მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის მოქმედება.

11. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის მიერ მეზობლებისთვის ან/და ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული სივრცისთვის მიყენებული ზიანის (სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ხმაური) აღმოფხვრა.

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

„შინაური ცხოველის პატრონი/მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის მიერ მესამე პირისთვის მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი აღმოფხვრა ან/და ზარალის ანაზღაურება“.

განმარტება იხილეთ შენიშვნებში. დანართი N2, შენიშვნა N12.

მუხლი 6. შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება

1. შინაური ბინადარი ცხოველის გასეირნება (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა) საზოგადოებრივ ადგილებში დაიშვება მხოლოდ უსაფრთხოებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (ალიკაპი, საბმელი ან/და მოკლე საბმელი) გამოყენებით.

GSPSA შენიშვნა: ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:

<u>შინაური ბინადარი ცხოველის გასეირნება (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა) საზოგადოებრივ ადგილებში დაიშვება მხოლოდ უსაფრთხოებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (ალიკაპი, საბმელი ან ორივე, ან/და საბმელი ჯიშების მიხედვით) გამოყენებით.</u>

2. ცხოველის მეპატრონე/მფლობელი მის საკუთრებაში/მფლობელობაში მყოფი ცხოველის მიერ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში, ვალდებულია იზრუნოს მის მყისიერ დასუფთავებაზე.

3. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველების შეყვანა ისეთ ადგილებში, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის მისაბმელი ძელის დაცულ ფართზე განთავსება.

მუხლი 7. შინაურ ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირება

1.შინაურ ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუკი უსაფრთხოების ყველა ზომა (მოკლე საბმელი და ალიკაპი ერთად ან სპეციალური გადამყვანი (კონტეინერი)) დაცულია.

2. შინაურ ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ცხოველისათვის უსაფრთხო და მიზანშეწონილი საშუალებით.

*GSPSA შენიშვნა: **შინაურ ბინადარ ცხოველთა ტრანსპორტირება***

<u>საჭიროა ამ თავში ვრცელი და კონკრეტული ტრანსპორტირების წესების შეტანა. საერთოდ არ წერია ცხოველების მასიური გადაყვანის პირობები და წესები.</u>
<u>იხილეთ დანართი N 2.</u>

მუხლი 8. შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები

1. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის ვეტერინარული შემოწმება, იმუნიზაცია (მათ შორის ანტირაბიული), საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

2. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია ცხოველის მიერ ადამიანის ან/და ცხოველის დაკბენის/დაკაწვრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას ან უფლებამოსილ ორგანოს და უზრუნველყოს ცხოველზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესება და წარუდგინოს უფლებამოსილ ორგანოს ვეტერინარული პასპორტი. ვეტერინარული **ზედამხედველობის ხარჯების** ანაზღაურებას უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე.

GSPSA შენიშვნა:

ზედამხედველობის ხარჯების- *რომელ ხარჯებზეა საუბარი, ან სად უნდ განთავსდეს ცხოველი, თუ ეს იგულისხმება ხარჯებში, თუ არ აქვს სიმპტომები რატომ არ უნდა მოხდეს ცხოველის სახლის პირობებში დაკვირვება, თუ აქ იგულისხმება მისი საკარანტინო პირობებში სხვაგან მოთავსება.*

3. შინაური ბინადარი ცხოველის დაავადების შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებას.

4. შინაური ბინადარი ცხოველის გამოკვლევის, მკურნალობის, მოკვდინებისა (ევთანაზიის) და დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე. იმ შემთხვევაში, თუ შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე სოციალურად დაუცველია, ევთანაზიის, დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს უფლებამოსილი ორგანო.

GSPSA შენიშვნა: დაემატოს მე-5 პუნქტი

5. *მიკედლებული და მიუსაფარი (უპატრონო) ცხოველების ვეტერინარული მომსახურების და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარება და სუბსიდირება ევალება სახელმწიფოს.*

მუხლი 9. შინაურ ბინადარ ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება

1. შინაურ ბინადარ ცხოველებს ქირურგიული ოპერაციები, სამედიცინო მომსახურება ან სხვა სახის ვეტერინარული პროცედურები უტარდებათ მხოლოდ ვეტერინარის მიერ და საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ გაუტკივარებით. აკრძალულია მიორელაქსანტით მტკივნეული პროცედურების ჩატარება.

2. აკრძალულია ჩვენებებისა და სხვა არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების მიზნის გარეშე შინაური ბინადარი ცხოველებისათვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

ა) კუდის კუპირება;
ბ) ყურების კუპირება;
გ) სმენის დაქვეითება;
დ) კბილებისა და ეშვების ამოღება;
ე) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;
ვ) ხმის იოგების გადაჭრა.

მუხლი 10. შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან

1. დაუშვებელია შინაურ ბინადარ ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა და წამება, მსგავსი ქმედებების ნებისმიერი ხელშეწყობა, შინაური ბინადარი ცხოველისადმი ძალადობისკენ მოწოდება.

2. შინაურ ბინადარ ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობად და წამებად ითვლება:

ა) შინაური ბინადარი ცხოველის ცემა გაწვრთნის მიზნით ან ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც შინაურ ბინადარ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს შინაური ბინადარი ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიკურ ტრავმას ან დასახიჩრებას;

GSPSA შენიშვნა: *შევიდეს შედეგი რედაქციით*

<u>ა) შინაური ბინადარი ცხოველისადმი ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც შინაურ ბინადარ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს შინაური ბინადარი ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიკურ ტრავმას, დასახიჩრებას ან სიცოცხლის შეწყვეტას;</u>

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გაგდება და მიტოვება;

გ) შინაური ბინადარი ცხოველების გამოყენება სამიზნეებად;

დ) საჭიროების შემთხვევაში შინაური ბინადარი ცხოველისთვის ვეტერინარული დახმარების აღმოუჩენლობა;

ე) შინაურ ბინადარ ცხოველებზე ანესთეზიის და ანალგეზიის გარეშე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციები;

ვ) ვეტერინარული პროცედურები, რომელთა მიზანია შინაური ბინადარი ცხოველის გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა (ყურების, ყბის ძვლის, კუდის კუპირება, ხმის იოგების, კლანჭების და ეშვების დამახინჯება ან მოცილება, სმენის დაქვეითება და სხვა), ასევე, შინაური ბინადარი ცხოველის სხეულის ნაწილის, რბილი ქსოვილების ან/და ძვლების, სტრუქტურის შეცვლა; გამონაკლისს წარმოადგენს შინაური ბინადარი ცხოველის სტერილიზაცია და კასტრაცია ამ კანონით გათვალისწინებულ

შემთხვევებში და შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ვეტერინარის გადაწყვეტილებით განხორციელებული ვეტერინარული პროცედურები;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის წვრთნის პროცესში მისი აგრესიისკენ მოწოდება და წახალისება მისივე სახეობის, თუ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საწინააღმდეგოდ, გარდა სამსახურეობრივი წვრთნის შემთხვევებისა;

თ) შინაური ბინადარი ცხოველების ყოლა ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება მათს სახეობას, ასაკს, ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ ქცევას;

ი) შინაური ბინადარი ცხოველების გამოყენება რეკლამებში, კინოგადაღებებში, ფოტოგრაფიაში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, სადაც შინაურ ბინადარ ცხოველებს ადგება ტკივილი, შიში, სტრესი, ტანჯვა და თუ ასეთი ღონისძიებების დროს შინაურ ბინადარ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს, ან სადაც შინაური ბინადარი ცხოველი შეიძლება დასახიჩრდეს ფიზიკურად ან მენტალურად;

კ) ზოოფილური აქტები შინაურ ბინადარ ცხოველებთან;

ლ) შინაური ბინადარი ცხოველების გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის და ლაბორატორიული ცდების ჩატარება მათზე, გარდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;

მ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვას.

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით და დამატებითი ჩამოთვლებით.*

<u>მ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს შინაური ბინადარი ცხოველის ტანჯვას, წამებას ან სიკვდილს.</u>

- <u>პირის მიერ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური არაჰუმანური ზემოქმედება, რომლის შედეგად ხდება შინაური ცხოველის წვალება, წამება, ფსიქოლოგიური სტრესი ან სიკვდილი;</u>
- <u>შინაური ცხოველების ჩხუბის ორგანიზება, ჩატარება, მონაწილეობა და ხელშეწყობა;</u>
- <u>პირად მფლობელობაში არსებული შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ცხოველის ჯანმრთელობის გაუარესება, სტრესი, ფსიქოლოგიური პრობლემები, დაზიანება ან სიკვდილი.</u>
- <u>შინაური ცხოველის არასწორი ტრანსპორტირება, რაც იწვევს ცხოველში შიშს, სტრესს, ფიზიკურ ტანჯვას, ტრავმას და ა.შ. (მათ შორის ავტომანქანაზე გამობმული, დახურულ ან ღია საბარგულში).</u>
- <u>შინაური ცხოველის მუდმივი დაბმა, სარდაფში ან სხვა სახის დახურულ სივრცეში დატყვევება მისი გასეირნების გარეშე.</u>
- <u>პირად მფლობელობაში არსებული შინაური ცხოველის შეგნებული მიტოვება ან თავშესაფარში ჩაბარება, მისი თავიდან მოშორების, ჯანმთელობის გაუარესების, დაბერების ან აბსურდული შეუძლებლობის სხვა მიზეზით;</u>
- <u>შინაური ცხოველების არასათანადო გარემოში მოთავსება და მისი დატყვევება, რომელიც იწვევს ცხოველებში ფსიქოლოგიურ სტრესებს და არაბუნებრივ ქცევას</u>

- <u>რიტუალური ქმედება, რომლის დროს ხდება ცხოველის ტანჯვა, მოკვლა და დანაწევრება და ა.შ;</u>
- <u>გაჭირვებაში ჩავარდნილი ცხოველის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება, უმოქმედობა, მიტოვება და შესაბამისი სამსახურებისთვის შეუტყობინებლობა</u>
- <u>შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა) უსუსური ლეკვებისა და კნუტების (ასაკით 45 დღემდე) წართმევა დედისათვის და მათი მიტოვება - გადაგდება ყუთში, ტომარაში , ნაგვის კონტეინერში ან სხვა სახის ჭურჭელში, საიდანაც მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გამოსვლა. იგივე ქმედება 45 დღიდან სამ თვემდე ასაკის შინაური ცხოველების მიმართ და მათი მიტოვება უკაცრიელ ადგილზე, სადაც მათ არ აქვთ საკვების მოპოვების შესაძლებლობა.</u>
- <u>ვეტერინარული წესების დარღვევა, ევთანაზია ჯანმრთელი ცხოველის ან დაავადებულის, როდესაც შესაძლებელია მკურნალობა და ა.შ.</u>
- <u>ტრავმირებული ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ცხოველის ნაგავსაყრელზე ან ნაგვის კონტეინერში გადაგდება.</u>
- <u>შინაური (ასევე ნებისმიერი ცხოველის) ცხოველის მსხვერპლშეწირვის ადათში გამოყენება.</u>
- <u>შინაური ცხოველის ქურდობა (მოპარვა) და მისთვის არაკეთილსაიმედო პირობების შექმნა</u>

თავი III

შინაურ ბინადარ ცხოველთა კომერციული მოშენება, გამოყენება, რეალიზაცია და მათი მოკვდინება (ევთანაზია)

მუხლი 11. შინაური ბინადარი ცხოველების კომერციული მოშენება

1. შინაური ბინადარი ცხოველების კომერციული მოშენება უნდა იყოს მიზნობრივი, გეგმაზომიერი და წინასწარ განსაზღვრული.

GSPSA შენიშვნა:

<u>იხილეთ დანართი N2, შენიშნა N4 - ჩანაწერი გაუგებარია. რა იგულისხმება გეგმაზომიერ და წინასწარ განსაზღვრულად და ვინ ახდენს ამის უზრუნველყოფას.</u>

2. ყველა პირი, რომელიც ეწევა კომერციულ მოშენებას შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლების მიზნით, პასუხისმგებელია შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ასევე მისი ნაყარის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და კეთილდღეობის მახასიათებლებზე, რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს ნაყარის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

3. პოპულაციური კონტროლის მიზნით, აკრძალულია:

ა) ნარევი (მეტისი) შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება;

ბ) გენეტიკური დაავადებების მქონე შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება;

გ) 2 წლამდე და 6 წლის ზემოთ ასაკის შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება;

დ) გარეული ცხოველების შეჯვარება შინაურ ბინადარ ცხოველებთან.

GSPSA შენიშვნა: *დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:*

ე) სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება.

ვ) იმ ჯიშიანი ცხოველების (ძაღლების) შეჯვარება და გამრავლება, რომლებსაც არ აქვთ კინოლოგიური დაწესებულების მიერ მინიჭებული სანაშენე კლასი და სერტიფიკატი (ამოქმედდეს კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ)

4. შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება დასაშვებია წელიწადში ერთხელ.

GSPSA შენიშვნა:

გაუგებარია რომელი სახეობის ცხოველზეა ეს რეგულაცია.

5. პირები, რომლებიც ეწევიან შინაური ბინადარი ცხოველების კომერციულ მოშენებას და მათ პერმანენტულ რეალიზაციას, სავალდებულოა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდნენ ბიზნესოპერატორებად.

6. ჯიშიანი შინაური ბინადარი **ცხოველების გამრავლება დასაშვებია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით**, ხოლო კომერციული მიზნით მოშენება - უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც დაინტერესებული პირი მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს და წარუდგენს მას ცნობას ვეტერინარული და კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან ცხოველის ჯიშიანობის და ჯანმრთელობის შესახებ.

GSPSA შენიშვნა:

ცხოველების გამრავლება დასაშვებია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობით,

აბსოლუტურად გაუგებარი ჩანაწერია, ვინ და როგორ უნდა დაუშვას ცხოველის გამრავლების უფლება? სად არის ეს წესი?

ჩვენ ქვეყანაში არ არის დარეგულირებული ცხოველების შეჯვარების წესი, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმ პრობლემისა რომლის წინაშეც ქვეყანა დგას დღეს, უმართავი პოპულაციების სახით.

აუცილებელია, რომ ლიცენზიის გაცემა ხდებოდეს პირებზე, რომლებსაც მიენიჭებათ ცხოველის გამრავლების უფლება.

შესაბამისად მულხს უნდა დაემატოს:

ძაღლების და კატების გამრავლების ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ იმ ცხოველებისთვის, ვისზეც კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ ორგანიზაციას გაცემული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი მენაშენე ძაღლის/კატის შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს სამოსამსახურო/მწყემსი ძაღლები.

მუხლი 12. შინაურ ბინადარ ცხოველთა გამოყენება

1. შინაური ბინადარი ცხოველების გამოყენება სანახაობისათვის, სპორტულ, გასართობ ან სხვა ღონისძიებებში დასაშვებია ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესების დაცვით:

ა) ორგანიზატორი ვალდებულია თითოეული შინაური ბინადარი ცხოველისათვის შექმნას უსაფრთხოების ყველა საჭირო პირობა, რათა რისკის ქვეშ არ დადგეს შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

ბ) დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველისთვის ნებისმიერი ქიმიური პრეპარატის მიღება, გარკვეული პროცედურის ჩატარება ან ხელსაწყოს გამოყენება, მისი ბუნებრივი შესაძლებლობების ამაღლების მიზნით.

2. უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველების მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების ჩატარება საბავშვო მოედნებზე, სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათთან დაკავშირებულ ტერიტორიებზე.

3. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის პროპაგანდა, დემონსტრაციების მოწყობა, აუდიოვიზუალური თუ სხვა სახის პროდუქციის გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს შინაური ბინადარი ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას.

GSPSA შენიშვნა: ***შინაურ ბინადარ ცხოველთა გამოყენება***

სათაური მოითხოვს კორექტირებას. შესაძლებელია იყოს: „შინაურ ცხოველთა გამოყენება და მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში.

მუხლი 13. შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზაცია

1. შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი ვალდებულია რეალიზაციის პროცესში დაიცვას შინაური ბინადარი ცხოველის კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, კერძოდ ცხოველის რეალიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის კვება და დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, მისი დროებით განთავსება ამ კანონით გათვალისწინებული პარამეტრების მქონე ვოლიერში, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია და სხვა.

2. შინაური ბინადარი ცხოველების სარეალიზაციო ობიექტის (**ბაზრობა, მაღაზია** და სხვა) მესაკუთრე/მფლობელი ვალდებულია არ დაუშვას ტერიტორიაზე ადამიანისა და ცხოველისათვის საშიში დაავადების მქონე შინაური ბინადარი ცხოველი, უზრუნველყოს აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოველებისათვის და ადამიანებისათვის სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვა, რეგულარულად მოახდინოს ტერიტორიის დასუფთავება, დეზინფექცია.

GSPSA შენიშვნა: შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზაცია

იხილეთ დანართი N2. შენიშვნები, რომლებიც რედაქციას ექვემდებარება.

ბაზრობა, მაღაზია

ცხოველთა ბაზრობები ხელს უწყობს დაავადებების გავრცელებას და არის სრულაიდ უკონტროლოა ცხოველების ყოფის პირობები მაღაზიებსა და ბაზრობებში. ქართული რეალობიდან გამომდინარე უნდა აიკრძალოს ბაზრობები და მაღაზიებს დაუწესდეს სტანდარტები.

ასევე არცერთ მსოფლიოს ცივილურ ქვეყნებში ცხოველთა ბაზრობები აღარ არსებობს.

მუხლი 14. შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინება (ევთანაზია)

1. შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინება დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილისა და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს შეძლებისდაგვარად მცირე ფიზიკურ ტკივილს, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

2. შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინება დასაშვებია ვეტერინარის, კინოლოგის/ფელინოლოგის და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე, რომელიც მიღებულია კლინიკური კვლევებით ან დაკვირვებით შესაბამის პირობებში და რომელიც ადგენს:

ა) არაკორექტირებად აგრესიულ ქცევას, რომელიც არ იძლევა შინაური ბინადარი ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანთან ან/და სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში, მათ შორის იდიოპათიურ აგრესიას (უცაბედი სიბრაზის სინდრომი);

ბ) ადამიანებისა და/ან ცხოველებისათვის საშიშ უკურნებელ დაავადებას;

გ) ძლიერ ტრავმებს ან/და დაზიანებებებს, რომლებიც არათავსებადია სიცოცხლესთან;

დ) III – IV სტადიის ონკოლოგიურ დაავადებებს;

ე) დამბლას, პარეზს და სხვა განუკურნებელ დაავადებებს;

ვ) შეუქცევად დაუძლურებას;

ზ) სიცოცხლეთან შეუთავსებელ ფიზიოლოგიურ ნაკლს (ახალშობილებში).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინება დასაშვებია მხოლოდ ვეტერინარის მიერ, თუ ცხოველის ტანჯვის შეწყვეტისათვის მიზანშეწონილია მისი დაუყოვნებლივი მოკვდინება.

4.შინაური ბინადარი ცხოველების მოკვდინება დასაშვებია:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს შეძლებისდაგვარად მცირე ფიზიკურ ტკივილს;

ბ) მეთოდით, რომელიც გამოიწვევს შინაური ბინადარი ცხოველის უშფოთველ სიკვდილს, საწყის ეტაპზე მძლავრი გაუტკივარების ეფექტით, რომელიც გადაიზრდება სრული სიკვდილის გამომწვევ პროცედურაში.

6. დაუშვებელია შინაური ბინადარი ცხოველების მოკვდინება არაჰუმანური მეთოდებით.
7. მოკვდინების პროცედურის დასრულების შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ შინაური ბინადარი ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია სანიტარიული ნორმების დაცვით შინაური ბინადარი ცხოველის ლეშის დამარხვა, კრემაცია, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება, პათანატომიური გამოკვლევა.

თავი IV

უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველები. უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები.

მუხლი 15. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა

1. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით; *მეძუძური შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა*

დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მდგომარეობიდან გამომდინარე ხორციელდება მისი გადაყვანა საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარში.

GSPSA შენიშვნა: ***მეძუძური შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა დასაშვებია***

ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით: მეძუძური შინაური ცხოველების დაჭერა აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია.

2. შინაური ბინადარი ცხოველისაგან ადამიანების ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა, ან/და კასტრაცია, სტერილიზაცია, ვაქცინაცია, როდესაც:

GSPSA შენიშვნა: *ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:*

შინაური ბინადარი ცხოველისაგან ადამიანების ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა, ან/და კასტრაცია, სტერილიზაცია, და ვაქცინაცია, როდესაც:

ა) ხორციელდება შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანა თავშესაფარში პოპულაციის მართვის მიზნით;

ბ) სახეზეა ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი და მომეტებული აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე შინაური ბინადარი ცხოველები;

გ) სახეზეა ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე შინაური ბინადარი ცხოველები;

დ) სახეზეა უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწვრა; დაკვირვებისა და საკარანტინე ვოლიერში განთავსების მიზნით, შემდგომი პროცედურების გატარებამდე;

ე) სახეზეა სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული შინაური ბინადარი ცხოველები, რომელთა გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ შინაურ ბინადარ ცხოველს შესაძლოა ჰყავს მეპატრონე;

ვ) ცხოველი ტრავმირებულია.

3. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველები დაჭერის შემდეგ ექვემდებარებიან შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში ან შინაურ ბინადარ ცხოველთა საოჯახო ტიპის თავშესაფარში მოთავსებას.

4. დაუშვებელია ავადმყოფი და დასახიჩრებული შინაური ბინადარი ცხოველების საბოლოო განკურნებამდე მათი დაბრუნება დაჭერის ადგილზე, თუკი მათ არ ჰყავთ მეთვალყურე და მათი უსაფრთხოება არ არის ***უზრუნველყოფილი.***

GSPSA შენიშვნა:

<u>დაემატოს: აუცილებელია ცხოველი დაბრუნებულ იქნას იმ სივრცეში საიდანაც აიყვანეს, ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები და პლუს ცხოველის ტერიტორიალური ასპექტები.</u>

მუხლი 16. უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი

1.ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

2. შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია შინაური ბინადარი ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით.

3. შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

ა) შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანური მეთოდებით დაჭერა და იზოლაცია;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

გ) ჯანმრთელი და არააგრესიული შინაური ბინადარი ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია;

დ) შინაური ბინადარი ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ე) დეჰელმინთიზაცია;

ვ) შინაური ბინადარი ცხოველების ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველების მიკედლება, ან ბინადრობის პირვანდელ გარემოში დაბრუნება.

4. უფლებამოსილი ორგანო, კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფიზიკურად ჯანმრთელი და არააგრესიული უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების სხვა კატეგორიაში გადაყვანაზე, მათთვის ახალი მეპატრონის მოძიების ან მიკედლების უზრუნველყოფაზე.

5. დაუშვებელია ცხოველის გაშვება ავტოსატრანსპორტო ზონაში და დაუსახლებელ ადგილებში.

GSPSA შენიშვნა:

<u>მუხლი საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს, იხილეთ დანართი N2, შენიშვნა 13.</u>

მუხლი 17. შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი

1. შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) თვალყური ადევნოს შინაური ბინადარი ცხოველის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საჭიროების შესახებ;

ბ) ერთ კვირაზე მეტი ვადით ცხოველის გაუჩინარებისას მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება;

გ) უფლებამოსილი ორგანოს შეკითხვის შემთხვევაში გასცეს ინფორმაცია მიკედლებული ცხოველის მდგომარეობაზე;

დ) მიკედლებული ცხოველის მეთვალყურეობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება და კონკრეტულ ცხოველზე მიმკედლებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს მიკედლებული ცხოველის მეთვალყურეობა;

ე) შესაძლებელია შინაურ ბინადარ ცხოველს ჰყავდეს ერთზე მეტი მიმკედლებელი.

2. შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი უფლებამოსილია მიკედლებული ცხოველისთვის საჭირო ვეტერინარული ან/და ტრანსპორტირების მომსახურება მიიღოს უსასყიდლოდ უფლებამოსილი ორგანოსგან.

GSPSA შენიშვნები:

<u>ეს მუხლი არის არასრული და საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს.</u>

<u>იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N16</u>

მუხლი 18. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები

1.შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები იქმნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალიტეტის მიერ, ასევე, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თავშესაფარში შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანისთანავე, ის უნდა განთავსდეს კარანტინში, შემოწმდეს ვეტერინარის მიერ და 24 საათის განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს ვეტერინარულ/ლაბორატორიული გამოკვლევა და დეჰელმინტიზაცია. კარანტინში ცხოველის დაყოვნების ვადა შეადგენს **მინიმუმ** 10 დღეს და დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, ვეტერინარი წყვეტს ამ ვადის გაგრძელების აუცილებლობას.

3. თავშესაფარებში შინაური ბინადარი ცხოველების მოთავსების შემდეგ ხდება მათი იდენტიფიკაცია. დგინდება შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ვინაობა და მის მიერ შენახვის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ უბრუნდება ცხოველი.

4. თუ შინაური ბინადარი ცხოველის სტერილიზაციის/კასტრაციის, იდენტიფიკაციის, ვაქცინაციის და სარეაბილიტაციო პერიოდის გასვლის შემდგომ დადგენილი ვერ იქნა შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე, ან შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების გამო უარს აცხადებს შინაური ბინადარი ცხოველის მიღებაზე, შინაური ბინადარი ცხოველი შეიძლება გაჩუქდეს ან რაციონალური მიზანშეწონილობის საფუძველაზე გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები; ასევე, დაშვებულია მათი პირვანდელი ბინადრობის არეალში გაშვება.

5. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფარში აღინიშნება ცხოველისათვის და ადამიანისთვის საშიში დაავადების გავრცელების საფრთხე, თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან და ჩაატაროს დეზინფექციის ღონისძიება, დაავადების აღმოფხვრამდე თავშესაფარში ცხადდება კარანტინი და ტადრება საკარანტინე ღონისძიებები.

6. ნებისმიერი პირი მფლობელთან ან მესაკუთრესთან შეთანხმებით, უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია განთავსებულ ცხოველებთან დაკავშირებით. ასევე, დაათვალიეროს თავშესაფარი და თავისუფლად მოახდინოს ფოტო/ვიდეო გადაღება, ისე რომ აღნიშნულმა არ გამოიწვიოს ცხოველების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გართულება ან თავშესაფრის ფუნქციონირების შეფერხება.

7. დაუშვებელია თავშესაფარში შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება და გაყიდვა.

GSPSA შენიშვნა:

<u>მუხლი საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს, იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N14</u>

მუხლი 19. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის სტანდარტები

1. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარს უნდა გააჩნდეს შინაურ ბინადარ ცხოველთა:

ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალიის და სხვა ორგანული გამონაყოფების და სისხლის კვლევას, ან ლაბორატორიული გამოკვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა ან ჰქონდეს დადებული ხელშეკრულება ვეტერინარული დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცედურებს;

ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული ოპერაციების ჩატარებას, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს ვეტერინარულ დაწესებულებასთან;

გ) საკარანტინო სივრცე ან ვოლიერები, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში ახლადშემოყვანილი შინაური ბინადარი ცხოველის იზოლაციას სხვა შინაური ბინადარი ცხოველებისგან, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად შინაური ბინადარი ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, ან დაავადებული შინაური ბინადარი ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, მოკვდინებამდე (ევთანაზიამდე);

დ) განთავსების სივრცე ან/და ვოლიერები;

ე) გასეირნების უზრუნველყოფისათვის საკმარისი სივრცე

2. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი და საოჯახო ტიპის თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმებით;

ბ) უზრუნველყოფილი იყოს შინაურ ბინადარ ცხოველთა ყოფა-ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობებით - სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

გ) ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს შინაურ ბინადარ ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას. ვოლიერის გვერდების სიგრძე არ უნდა იყოს 1,5 მ-ზე ნაკლები, თითო ვოლიერში დასაშვებია 2 ძაღლის განთავსება;

დ) კატების განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს შინაურ ბინადარ ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას;

ე) ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და შინაურ ბინადარ ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის შესაძლებლობა.

3. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულად, საცხოვრებელი სახლებიდან მოშორებით და უნდა იყოს შემოსაზღვრული, ხოლო საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის განთავსება შესაძლებელია მომიჯნავე ობიექტებისა და მეზობლების თანხმობის საფუძველზე;

4. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია აწარმოოს შინაურ ბინადარ ცხოველთა აღრიცხვა და უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოში უსასყიდლოდ, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში, თავშესაფარში შინაურ ბინადარ ცხოველთა ბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა.

5. შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს უკლებლივ ყველა შინაური ბინადარი ცხოველის სტერილიზაცია, თუკი ამ შინაურ ბინადარ ცხოველს არ გამოუჩნდა მეპატრონე, ხოლო შინაურ ბინადარ ცხოველთა საოჯახო ტიპის თავშესაფრები უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესით.

GSPSA შენიშვნა:

<u>მუხლი საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს, იხილეთ დანართი N2, შენიშვნა N15</u>

თავი V

შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

მუხლი 20. შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნები

1. შინაური ბინადარი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო პირველად რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას, ყოველწლიურ საკონტროლო რეგისტრაციას და დროებით რეგისტრაციას.

2. ***რეგისტრაცია ხორციელდება უსასყიდლოდ.***

GSPSA შენიშვნა:

<u>უსასყიდლოდ? ვის მიერ?</u>

<u>ამ ნაწილში უნდა დაკონკრეტდეს ვის მიერ ხდება უსასყიდლოდ რეგისტრაციის განხორციელება. კომერციული ორგანიზაცია ან ვეტერინარი როგორ უდნა ვაიძულოთ რომ უსასყიდლოდ გააკეთოს რეგისტრაცია. აბსოლუტურად გაურკვეველია რას ნიშნავს უსასყიდლოდ. რ არის ნახსენები მონაცემთა ბაზა. ამ ბაზას უნდა ფლობდეს ადგილობრივი ორგანო და ცენტრალური სახელმწიფო უწყება, რომელიც შეკრებს. კანონს აუცილებლად უნდა დაერთოს სარეგისტრაციო ფორმა.</u>

3. შინაური ბინადარი ცხოველის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს მიაწოდოს შინაურ ბინადარ ცხოველთა აღრიცხვასა და იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

4. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის, ან რეგისტრაციის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია სპეციალური სხვადასხვა უსაფრთხო საშუალებებით (მათ შორის მიკროჩიპი, ~~***სვირინგით,***~~ საერთშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური საჭდით, საყელურით და სხვ.).

GSPSA შენიშვნა:

სვირინგით - ამოღებულ იქნას.

<u>გაუგებარია რა რეგისტრაციაზეა საუბარი?</u>

<u>თუ ცხოველი იდენტიფიცირებული არ არის, მაშინ როგორ ხდება მისი რეგისტრაცია.</u>

5. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველების მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირება, საკუთრებაში ან

მფლობელობაში არსებული შინაური ბინადარი ცხოველის შთამომავლობის და მისი გასხვისების თითოეული ფაქტის შესახებ, ასეთი ფაქტების დადგომიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 21. შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიანი რეესტრი

1. შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაცია, დროებითი რეგისტრაცია და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაცია ხორციელდება შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის განცხადების საფუძველზე და დასტურდება შინაური ბინადარი ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობით.

2. შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და ერთიანი რეესტრის შექმნის მიზანია:

ა) შინაური ბინადარი ცხოველების რაოდენობის დადგენა, თითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა, მათი მფლობელებისა და მათზე მზრუნველი პირების დადგენა/რეგისტრაცია;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველებისგან ადამიანებზე გადამდები, განსაკუთრებით საშიში ვირუსული დაავადებების გავრცელების პრევენცია;

გ) მეპატრონის მიერ შინაური ბინადარი ცხოველის მიტოვების პრევენცია;

დ) დაკარგული/ნაპოვნი შინაური ბინადარი ცხოველების მოძებნა, მათი იდენტიფიცირება და მეპატრონისთვის დაბრუნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

3. პირველადი სავალდებულო რეგისტრაციისა და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაციის წინ შინაურ ბინადარ ცხოველებს უნდა ჩაუტარდეს ყოველწლიური სავალდებულო იმუნიზაცია.

4. შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაცია სავალდებულოა 1 თვის ასაკიდან. შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის შეცვლის შემთხვევაში ხელახალი რეგისტრაცია შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში უნდა მოხდეს 1 თვის ვადაში.

5. მიკროჩიპი წარმოადგენს სპეციალური ინფორმაციის მატარებელ იმპლანტს, რომლის საშუალებით მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახულ იქნება ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველისა და მისი მეპატრონის შესახებ.

6. შინაური ბინადარი ცხოველის გარდაცვალების შემთხვევაში მეპატრონემ/მიმკედლებელმა/მზრუნველმა/დროებითმა შემფარებელმა ან მოკვდინების (ევთანაზიის) შემთხვევაში ევთანაზიის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნულის შესახებ, ერთი კვირის ვადაში უნდა აცნობოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ინფორმაციის შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში შეტანის მიზნით.

7. შინაური ბინადარი ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს დაკარგვის ფაქტის შესახებ.

GSPSA შენიშვნა:

*<u>შინაური ბინადარი ცხოველის დაკარგვის შესახებ - **იხილეთ დანართი N1, შენიშვნა N8** - ში არსებული „წესები პირად მფლობელობაში არსებული ცხოველის დაკარგვის ან პოვნის შესახებ“.</u>*

თავი VI

ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვა და მუნიციპალიტეტების მოვალეობები

მუხლი 22. ცხოველთა ორთაბრძოლები

1. დაუშვებელია ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება და პროპაგანდა.

2. აკრძალულია თუ პირი:

ა) ცდილობს მოაწყოს ან აწყობს ცხოველთა ორთაბრძოლებს;

ბ) შეგნებულად იღებს ფულს ცხოველთა ორთაბრძოლაზე დაშვების მიზნით;

გ) ავრცელებს ინფორმაციას ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ;

დ) საკუთარი ან სხვისი ცხოველით მონაწილეობს ცხოველთა ორთაბრძოლებში;

ე) წვრთნის და ამზადებს ცხოველებს ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის;

ვ) იყენებს ან სხვას რთავს ნებას თავის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა გამოიყენოს ორთაბრძოლების მოსაწყობად;

ზ) შეგნებულად იღებს და ავრცელებს ცხოველთა ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტო გამოსახულებებს ან ინახავს მათ, შემდგომში მათი გავრცელების მიზნით.

GSPSA შენიშვნა:

<u>სხვადასხვა ქვეყნებში ცხოველთა ორთაბრძოლებზე და მებრძოლი ჯიშის ძაღლებზე ცალკე კანონი და რეგულაციები არსებობს.</u>

მუხლი 23. მუნიციპალიტეტთა ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვას, მათი ყოლის წესების დადგენას და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

GSPSA შენიშვნა:

დაემატოს: <u>ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.</u>

2. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილების ფარგლებში :

ა) უზრუნველყოფენ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მეშვეობით, ადრეული ასაკიდან მოქალაქეთა მიერ შინაურ ბინადარ ცხოველებზე დაკვირვების, მათი ქცევის გაგებისა და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დანერგვას;

ბ) აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და მოუწოდებენ მას შინაურ ბინადარ ცხოველებზე ზრუნვისკენ;

გ) მუნიციპალიტეტები ადმინისტრაციულ საზღვრებში აკონტროლებენ შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლის დადგენილი ნორმების დაცვას;

დ) ორგანიზებას უწევენ აქტივობებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვა, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პატრონებთან დაბრუნება;

ე) უზრუნველყოფენ შინაურ ბინადარ ცხოველთა გასასეირნებელი ადგილების, სასაფლაოების და კრემატორიუმების მოწყობას და ზრუნავენ მათ გამოყენებაზე;

ვ) ახორციელებენ შინაური ბინადარი ცხოველების სარეალიზაციო ობიექტების და შინაური ბინადარი ცხოველების რეალიზაციის წესების დაცვის კონტროლს;

ზ) ასრულებენ ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი VII

პასუხისმგებლობა

მუხლი 24. პასუხიმგებლობის საფუძვლები

1. პირის პასუხისმგებლობა შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვისა და კეთილდეობისათვის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება ~~ამ თავით,~~ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით.

GSPSA შენიშვნა:
~~*ამ თავით,*~~

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

GSPSA შენიშვნა:

მე-2 პუნქტი უნდა შევიდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს ვინაა ის პირი ვისაც შეუძლია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს და ამ ოქმის საფუძველზე გადასახდელი ჯარიმა სად გადაიხდება, როგორია გასაჩივრების წესი და სხვა.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. გარდამავალი დებულებანი

1. 2020 წლის 1 იანვრამდე მუნიციპალიტეტებმა განსაზღვრონ შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

2. 2020 წლის 1 იანვრამდე მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, უფლებამოსილი სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.

3. 2020 წლის 1 იანვრამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს შინაური ბინადარი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა, რეგისტრაციის, მიკროჩიპზე დასატანი ინფორმაციის, საკონტროლო რეგისტრაციისა და შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

4. 2020 წლის 1 იანვრამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონით განსაზღვრულ პრინციპებსა და სტანდარტებთან.

5. ფიზიკურ პირს, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე საკუთრებაში/მფლობელობაში ჰყავს ერთდროულად 10-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი (ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში 5-ზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი), არ ვრცელდება ამ კანონის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მოქმედება.

GSPSA შენიშვნა:

<u>ფიზიკურ პირს, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე საკუთრებაში/მფლობელობაში ჰყავს ერთდროულად შინაური ბინადარი ცხოველი არ ვრცელდება ამ კანონის მე-5 მუხლის მოქმედება. მოქმედება.მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვები, უკვე რეგისტრირებულ შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით;</u>

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შინაურ ბინადარ ცხოველებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების მომენტში იმყოფებიან პირის საკუთრებაში/მფლობელობაში ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე/ტერიტორიაზე.

მუხლი 26. ძალაში შესვლა

1.ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

დანართი

დეკორატიული ჯიშის ძაღლების ჩამონათვალი

1. ბიშონ ფრიზე
2. მალტეზი
3. ბიშონ ჰავანესე
4. კოტონ დე ტულეარ
5. მცირე ლომისებრი ძაღლი
6. პუდელი
7. ბელგიური გრიფონი
8. ბრიუსელური გრიფონი
9. მცირე ბრაბანტული გრიფონი
10. ჩინური ქოჩორა ძაღლი
11. ლჰასა აპსო
12. ტიბეტური სპანიელი
13. ტიბეტური ტერიერი
14. კავალერ კინგ ჩარლზ სპანიელი
15. კინგ ჩარლზ სპანიელი
16. პეკინესი
17. იაპონური ხინი
18. პაგა (მოპსი)
19. ფრანგული ბულდოგი
20. ბოსტონ ტერიერი
21. ჩიხუახუა
22. კონტინენტური ტოი სპანიელი (პაპილონო და ფალენი)
23. კრომფორლანდერი
24. 6 კგ-მდე მეტისი (ნარევი ჯიშის) ძაღლები

შენიშვნები მომზადებულია „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მიერ.

თეიმურაზ წიქორიძე



კავშირის თავმჯდომარე

აიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“.